


სახალხო გაზეტი

სუკათიბიანი ღამათმა
გაზეთის № 512
ღამათების № 90
კვირა, 29 იანვარი 1912 წ.



გ. ნ. ნ. შვილი.
(ინგოროყვა)
ძველი მოქანდაკე იაკ. ნიკოლაძის დამზადებული.

მარმარილოს ზღვაზე

ა

რიჟრაჟია... მზემ მსოფლიოს
ცეცხლის სხივი ჩააკვესა;
ფრთა ჩანასკვეულ ზღვის ცელქ სიოს
მოსწყდა კვნესა... მოსწყდა კვნესა...

სირინოზი მღერის ზღვის ჰანგს,
დასციგლივებს ზღვის მონასტერს;
ზღვის ყვაილი იხსნის პერანგს,
ზღვის ყვაილი ჰფანტავს ზღვის მტვერს;

რიჟრაჟია... ზღვა მზეს სძირავს,
მზეს ცის სიბრძნეს, მზეს დიდებულს;
ტალღა ცეკვით ჰაერს გმირავს
ვერცხლის ხმებით შეზავებულს.

მარმარილოს ზღვავ! შენ იცი? დღეს პირველად დაგინახე,
დღეს პირველად ვიგრძენ შეება, დღეს პირველად ვივადგოახე
და გთხოვ, ჰე ზღვავ, მითხარ რამე... მიკარნახე!.. მიკარნახე!..

ბ

სალამოა... ზღვის კუნძული
ჰკოცნის ყომრალ ნისლის კოშკებს;
გელი ჰანგად აკინძული
ხმას ატოკებს... ხმას ატოკებს...

ოქროს ღუზამ, თვის ოქროს ფრთით
ზღვის გულ-მკერდი გადასერა
და აქოჩრილ ქაფთა ზვირთით
ამოგორდა ცის ვენერა.

სალამოა... ზღვა კაშკაშებს,
იწვის ანძა, იწვის ნავი;
ხომოდს აფრა დასთამაშებს
ვით ქალის მკერდს თმის ნაწნავი.

მარმარილოს ზღვავ! შენს ხმებში ჩემი გრძნობაც ამოავლევ:
შენი სულის საიდუმლო, შენი სულის აზრთ-სიმრავლე—
მეც მაჩუქე, ზღვავ! მაჩუქე... შემასწავლე!.. შემასწავლე!..

ი. გრიშაშვილი.



ფ ა ლ ი

დრამა 3 მოქმედებად.

(დასასრული *).

გამოსვლა 3.

თ ა ლ ა დ . მ ა ხ ა .

მიხა. (თალა გამოვა სახლის ეზოდან და მივა წყაროსთან ხელში ლიტრითა, ხოლო მიხა ვენახების მხრიდან, შეხვდებიან წყაროსთან.) თალა!... ერთი წყალი დამალევენე.

თალა. (ამსებულს ლიტრას მოაშორებს ლულასა). ე მანდ წყარო და მანდ შენა.

მიხა. მე ემაგ ლიტრით მინდა, თორემა...

თალა. მერე ეს ჩემი როდისა? ეს ხომ ბატონისაა!

მიხა. ეხლა-კი შენ გიჭირავს და? თუ გინდ ბატონისა იყოს, მერე? მუნი ხომ არ მიეცხობა ჩემგანა?

თალა. მერე ვინ გეუბნება? (მიაწოდებს ლიტრასა). ახლა ულიტროდ ველარ დალიე?

მიხა. (სვამს.) როცა არის, იმას რა სჯობიან? (გამოაქცევს, აამსებს ლიტრას და დაუბრუნებს). ქრისტემ ასე მოგიკლას წყურვილი, როგორც მე მომიკალი.

თალა. (მიდის.) ღმერთმა შეგარგოს...

მიხა. თალა!.. მიდიხარ, აა?...

თალა. მაშ აქ რა გავაკეთო?

მიხა. რა და პატარა ხანს ვიმუსაიფოთ...

თალა. შენთან სამუსაიფო რამ მაქვს?...

მიხა. რატომ, შეილოსა, იქნება მეცა მაქვს შენთან სალაპარაკო?

თალა. შენ, ქალაქის შემდეგ ამოგდგა ენაი? რა ვიცი, იქ-კი, ერთხელ რომ მოხველი, ენა ჩავივარდა და?

მიხა. ახლა, არ იცი, რომა ყოველი ბლარტი თავის ბუდეში უფრო თამამია?..

თალა. მერე ეს შენი სოფელია?

მიხა. რა უყოთ ახლა. ჩვენთან ხომაა.

თალა. კარგია, მითხარ, რა საქმე გაქვს.

მიხა. განა თვითონ არ იცი რაც მინდა?

თალა. მე საიდან მეცოდინება! ჩქარა მითხარი, თუ გაქვს სათქმელი, ბავშვმა არ იტიროს.

მიხა. გიყვარს მერე ბავშვის მოვლააა?...

თალა. ბავშვი ყველას საყვარელია, თუ სხვისას არ მოუვლი და არ გეყვარება...

მიხა. აი, შენს მადლს-კი ვენაცვალე... ე მაგისთვის მინდა, რომ შევირთო... მაშ ნუღარ მეტყვი უარსა, რომ ნიშანი გამოგიგზავნო.

თალა. ეგ... (მიდის). ჩემს ქალბატონ მაგდას უთხარი. მე... (მოიხედავს და შესვლისას ღიმილითა). მე არ ვიცი...

მიხა. რა კუდიანია და?.. ჯიშინია... სწორედ საჩემო ოჯახისა... მაგრამ... ნაძრახი რომ იყოს? იქ იმერელ ბიჭმა, ივანიკა იყო რალაცა ჯანაბა... მერე აღარ უნდა, რომ ცოცხალი იაროს?.. რომ უყვარდეს?..

გ ა მ ო ს ვ ლ ა 4.

მიხა, და კონა.

კონა. (შემოვა). გველს მაშინათვე თავი უნდა გაუქექეყო, რომ არ დაგსუნთქოს... ძერას ქვა არ უნდა ააცდინო, რომ წიწილი არ მოგიტაცოს... მიხა?... ქორწილში არ დამივიწყო; გაიგონე... (წყაროსთან მიჯდება).

მიხა. (გასვლისას). კარგია ჰოო!..

გამოსვლა 5.

კონა, მაგდა და ნინო.

მაგდა. (შალის ქსოვითა.) აქამდე მომიყვანა, მომათრია თმებით, ჩემო ნინო, და შემდეგ წიხლის კვრით გამომაგლო კარში...

ნინო. იქნებ იქვეულობით მოსდის?

მაგდა. შესაძლოა, მაგრამ ამის საბუთი რომ არ მიმიცია?

ნინო. საბუთი?... მაგრამ ერთი ეს მითხარი, შენმა დედამთილმა და მულმა იციან შენი წარსული?... მაგრამ, ჩემო მაგდა, არა...

მაგდა. ნუ შეტრუნდები, ჩემო ნინო! განა არ ვიცი, რომ შეურაცყობით არ მეუბნები! თუმცა-კი გაგიტყდები, მოგონება მწვავს. ეხლა მაგონდება შენი სიტყვები: უსათუოდ ჩემი წარსული აგონდება, ველარ იტანს და ცემით იბრუნებს დაგუბებულ სირცხვილს.

ნინო. მით უმეტეს, თუ იპათაც იციან და წასძახიან...

მაგდა. თითქმის ყოველ დღე უმეტესად და, აყვედრის: „შენ შეგეძლო პატიოსანი ქალი და მზითვიანიც მოგეყვანაო“...

გამოსვლა 6.

ივანივე და მიხა.

მაგდა. (ეზოდან შემოსულს მიხას შეამჩნევს.) რა გინდა, ჩემო მიხა?!

მიხა. საკითხავი მაქვს რამე და ნუ შემრისხავთ.

მაგდა. აბა, მითხარი.

ნინო. იქნება საიდუმლო გაქვს რამე?

მიხა. რასა ბძანებ, თქვენი ჭირიმეთ, რა საიდუმლო უნდა მქონდეს თქვენთანა? თქვენ ხომ ჩვენებური მასწავლებელი ხართ?

მაგდა. მაშ, გაბედვითა სთქვი, ნუ გრცხვენია.

მიხა. რისა უნდა მცხვენოდეს, თქვენი ჭირიმეთ, არ მიქურღნია და უნამუსობა არ ჩამიდენია... (მაგდა და ნინო ერთმანეთი შეხედავენ და თავს დალუნჯავენ.) მე ოჯახში მარტოხელი ვარ. რაც შეეხება სოფლის ოჯახსა, დედამამ კარგი ქონება დამიტოვა და ბებიაამაც კარგა შემიწახა. აი, ეხლა ბებია-ჩემი ჩამცივებია, გინდა თუ არა ქალი უნდა მოიყვანო, დროაო.

ნინო. მართალსაც გეუბნება. მეც მითხრა, მერჩია შენთვისა.

მაგდა. მერე რატომ არ ირთავ?

მიხა. შერთვით-კი შევირთავ, მაგრამა...

მაგდა. რალა გიშლის?

ნინო. ქალი ვერ გიშოვია?

მიხა. ქალების მეტი რა არის, მაგრამა ჯიშინი მინდა რო იყვეს. ქალი თუ გამქლე არ არის, ჩვენს გლეხკაცის ოჯახშია, არ ივარგებს. ჩვენთვის მუშა ქალია საჭირო. ძარღვიანი და...

ნინო. (გააწყვეტინებს ღიმილითა.) ლამაზიცა.

მიხა. (მორცხვად.) არც გონჯი უნდა იყვეს.

მაგდა. მერე ვერ გიშოვია?..

მიხა. როგორ ვერ მიშოვია. დიდხანია თვალში მომივიდა ერთი, მაგრამა...

მაგდა. (ხვდება.) უთუოდ ჩვენი თალა არის, არა?

მიხა. (მორცხვათა.) დიახ, თუ...

მაგდა. ძალიან კარგი მერე განა თალა არა გააბუღდება? იმის მამა?

მიხა. მამა როგორ არ დამყაბუღდება, მაგრამა...

მაგდა. მაგრამ?

მიხა. ისა, რომა ქალაქში ნადგომია...

ნინო. (თავისთვის თავდახრილი.) მესმის...

მაგდა. (ამოაოხრებს შეუქმნევლად. სახეზე უსიამოვნება შეემჩნევა.) მერე გგონია...

მიხა. არაფერი არა მგონია, შენი ჭირიმე, მაგრამა... მინდოდა თქვენთვის მეკითხნა: იქ ივანიკა ხომ არ უყვარდა?.. მომიტევეთ-კია ამაზედა... ხომ მოგეხსენებათ უმეზობლოდ ოჯახი არ ვარგა, ჩვენი მეზობლობა-კი, ქალაქში ნადგომებსა ისე აღარ უყურებენ. ბებიაჩემიც არ მირჩევს...

მიხა. ქალბატონო! ანგრემც გაგებრდებათო და გაგახარებთ ის თქვენი ვაჟი შეილი, ნუ დამიძალავთი და ყველაფერი მითხარით. მიჩიეთ რამე.

მაგდა. თუ მენდობი, ჩემო მიხა?!

მიხა. რასა ბძანებთ, თქვენი ჭირიმეთ. რომ არ გენდობოდეთ, ხომ არცა ვკითხავდი.

მაგდა. მაშ დამიჯერე და ითხოვე. მაგაზე კარგი საცოლოე ნუ გინდა, თუმცა ეხლა მაგის მოშორება მეძნელება, მაგრამა, შენ როცა-კი გსურდეს, მაშინ წაიყვანე საცოლოეთა, თუ თითონაცა სურს.

მიხა. ისა, თქვენი ჭირიმე, თქვენზე ავდებს—ქალბატონმა მაგდამ იცისო.

*) იხ. სურათებიანი დამატება, № 87.



მაგდა. მაშ კარგი, ჩემო მიხა, მე თვითონ მოველაპარაკები და უთუოდ მოგირიგებ.

მიხა. თქვენ-კი გადღეგრძელოთ ღმერთმა?! მაშ მეც მამასთან შევეცდები და ნიშანსაც გაუგზავნი. მშვიდობით ბძანდებოდეთ. (გადის).

ნინო. აი, უნდობლობა ქალაქისადმი.

მაგდა. მართალნიც არიან...

გამოსვლა 7.

მაგდა, ნინო და კონა.

კონა. (შემოაღებს ღობის კარებსა.) გამარჯვება ქალბატონებს. თქვენ-კი გენაცვალეთ მაგ ერთობაშია... მშვენიერო მაგდა, ჩემო საყვარელო, შენ-კი ჩაგეკონე მაგ თვალეშია...

ნინო. კონა! ძალიან გიყვრს მაგდა?

კონა. შენზე ძრინა. ისე როგორც ადამს ევა...

მაგდა. მერე რად უყვარდა ადამს ევა?

კონა. (შრიამული მოესმის და ღობისაკენ მიაქცევს ყურადღებას.) იმის შეტი, რომ არავინა ჰყვანდა, მაშ ვინ შეუყვარდებოდა?

ვანო. კონაც იქ არის. (შედიან. მიახლოვებისას ვანო ჩამოართმევს ხელსა.) სალამომშვიდობისა... (რა ცივად დაუხედებთან, მიუბრუნდება კონასა.) კონა! მანდ რას დასჩერებინარ?

კონა. წყეულ გველსა. ამა ევა დაშხამა...

ელისაბ. (დააცქერდება.) ეგ ხომ ანკარაა?!...

კონა. (ვანოს და ელისაბედსა), როგორც თქვენა?!...

ვანო. (კონასა.) შენ ეგ ენა დაიმოკლე...

ელის. აბა, ყმაწვილო, მაგას თავს როგორ უყადრებ? ეგ ხომ შეშლილია?

კონა. (აიღებს გველს ხელში.) ქალბატონო მაგდა! აი, ეს ის გველია... იმან მოხიბლა ევა... ეს წყეული ისევე შხამავს... როგორც ბოროტი კეთილსა... ჰიიი!... იცით ბატონო ვანო? ამასა ბოროტნი სჭამენ... მეც იმი-სათვისა ვხოცავ. (სახე დაეპრანჭება.) მე ამან... მე ამან დამსუნთქა, დამშხამა... მომიწამლა სიცოცხლე... მაგრამ... ჰა, ჰა, ჰა!... მეც, მეც ხომ?!... ცეცხლში, ცეცხლში... ჰა, ჰა, ჰა!... იგი სწმენდავს... ცეცხლი... (გარბის.) ჰი, ჰი, ჰი!...

მაგდა. საბრალო!



ეპისკოპოსი გერმოგენი (მარცხნივ) და ბერმონაზონი ილიოდორე (მარჯვნივ).

ნინო. (მაგდასა.) ნეტა სულ ასეთს გუნებაზე მაინც იყვს.

კონა. (გაშტერებული უყურებს ღობეს. ჩუმათ თავისთვის.) წყეული... მაცდური... (მსწრაფლ გაეჩანება და დაჰკრავს ფეხს.) საით, წყეულო!.. არ გაგიშვებ... გაგსრესავ სადაც-კი დამიხვდები... (დახედავს.) აჰ, აჰ, აჰ!.. როგორ იქლაკნები. (დასცქერის.) სად წამიხვალ, წყეულო!..

მაგდა. რაღაცა მოჰკლა.

ნინო. გველი იქნება.

მაგდა. (შეშინებული.) უიმე, გენაცვალეთ...

კონა. ნუ გეშინიან... ეს ველარ გაცურდება, ველარ დასუნთქავს თავის შხამით... (სიამოვნებით დასცქერის.)

გამოსვლა 8.

იგინივე, ელისაბედი და ვანო.

ელისაბედი. (გამოჩნდებიან წყაროსთანა. ვანოსა.) ამაღამ, მე აღრე დავწვები, თავს მოვიტკიებ. ფანჯარას ბალის მხრიდან ჩემს ოთახში ღიას დასტოვებ, იქიდან გამოდი.

ვანო. წავიდეთ ვენახში...

ელის. არა, იქ შეგვნიშნავენ... (უჩვენებს ნინაზე და მაგდაზე.) ხედამ ვანო! ძველი მეგობრები შეყრილან.

ვანო. მართლა და დიდი მეგობრები არიან.

ელის. უთუოდ თავიანთ ცოდვებზე...

ნინო. საკვირველია, რომ გველი მაგას არსად არ გამოეპარება.

ვანო. საკვირველი ის არის, რომ სოფელი მაგას უთმენს.

ნინო. სოფელს ეგ არაფერს უშავებს.

ელის. როგორ არა, რომ ამას წინად ბოლო ვენახში (ანიშნებს ვანოზე.) აი, ამით ბიჭს მოსიკოსთვის ქვა ეთხლიშა შუბლში. კინაღამ მოეკლა.

ვანო. და მე რომ არა ვყოფილიყავი, მეორე ქვით უსათუოდ მოჰკლავდა.

ნინო. ახია იმაზედა.

ელის. როგორ თუ ახია?

ნინო. იმიტომ, რომ გარყვნილია და...

მაგდა. ალბად შეჰკადრა რამე, თორემ რატომ სხვებს არას ერჩის?

ვანო. ეგ იმათ არც ეწინააღმდეგება...

ნინო. ეგ ცილისწამებაა...

მაგდა. გცხვენოდეს ვანო. მაგას მხოლოდ შენ ამბობა...

გამოსვლა 9.

იგინივე, გიორგი და დავითი.

გიორგი. (დიდის გზით შემოდიან გიორგი და დავითი.) თქვენთვის, ბატონო დავით, საჭიროა მოსვენება. არც თქვენს მეუღლეს არგებს აღელვება, მით უმეტეს ბავშვს აწუ-



ხებს. თუ კი გსურთ ბავშვის კეთილ-დღეობა, რაც შეიძლება დამზავდებით უნდა იყვეს.

დავ. მართალია, ექიმო. მე თქვენ პატიოსან კაცად მიმაჩნხართ. ამასთან ჩემის ოჯახის მეგობრათა ცა გთვლით. გთხოვთ თქვენ რჩევას ნუ მოგვაკლებთ და მასთან ბავშვს მეტი ყურადღება მიაქციეთ. (მიხედვას მაგდას.) მეც ვეცდები ავაცდინო მაგდას...

გიორ. (იმ დროს მიახლოვებულნი არიან ღობის კარებთანა.) საღამომშვიდობისა. (ხელის ჩამორთმევის დროს მაგდას.)

თქვენი პაწია როგორ არის?

მაგდა. გმადლობთ. ეს ორი დღეა კარგათა სკამს.

გიორ. ეგ პირველია. კუჭი ჩვეულებრივი აქვს?

მაგდა. დიახ!

ელის. რა ვიცი, დღეში სამჯერ-კი ითხოვნება და...

ნინო. რა უყოთ მერე?! ჯერ ქორთაა, სამი თვისაა და იმიტომა.

ელის. (ნინოს ირონიულადა.) რამდენი გაგიზრდიათ?..

ნინო. (მკვახედ.) ბევრი...

ელის. (გაკვირვებული.) საკუთარი?

დავ. შენ ქმრიანს არა გყავს და მაგათ საიდან ეყოლებათ?!

ნინო. რაც ჩვენ სოფელში იბადებიან, ჩემები არ არიან?

ელის. (ძმას ბრაზით.) არც მინდა და არც შემძლევა. იმათი აღზრდის თავი ვისა აქვს?..

დავ. მაშინ არც უნდა გათხოვილიყავი!..

ელის. მე შეიღებოსათვის არ გავთხოვილვარ?.. (გასვლისას.) უმჯობესია შენ მაგდაზედ...

დავ. ხმა!.. (თავს შეიმაგრებს) მაგრამ... (გადახედავს მაგდას, თითქო უნდა უთხრას რამეო, გაუბედობის მეტყველებით გადის).

გიორ. (მაგდას.) ნება მიბოძეთ გავსინჯო თქვენი პაწია...

მაგდა. წამოძახდით. (გადიან: გიორგი, მაგდა და დავითი).

ვანო. (მიმავალს ნინოსა.) ქალბატონო ნინო!..

ნინო. (მობრუნდება.) რა გნებავთ?

ვანო. თქვენთან მოსალაპარაკებელი მაქვს.

ნინო. ჩემთანა?

ვანო. დიახ, თქვენთანა.

ნინო. (მობრუნდება და დაჯდება.) ბრძანეთ.

ვანო. თქვენ ისე მიპასუხებთ, თითქო არა გსურდეთ ჩემთან ყოფნა...

ნინო. რატომ? მაგრამ რა გვაქვს ჩვენ საერთო?

ვანო. თუ მომისმენთ... თქვენ ექვს თვალთ მიყურებთ მის შემდეგ, რაც ელისაბედი ჩამოვიდა...

ნინო. სულაც არა. ვანა მე ხელს გიშლით?

ვანო. მე-კი მსურს, რომ... მე მინდა ვიყო თქვენი მონა...

ნინო. იქნებ ბატონი?!..

ვანო. თქვენ ბატონობას მე ვერ შევძლებ, მხოლოდ მონა კი შემიძლიან ვიყო...

ნინო. მე-კი არა მსურს. მაგისათვის საჭიროა სიყვარული...

ვანო. (გააწყვეტინებს და სურს ხელი მოიხილოს.) მეც მიყვარხართ...

ნინო. (ანიშნებს არ მომეკაროო.) მარტო თქვენი სიყვარული არა კმარა. თქვენსა და ჩემს შორის დიდი უფსკრულია. თქვენ მდიდარი აზნაურიშვილი, მე ერთი უბრალო სოფლის მასწავლებელი.

ვანო. სამაგიეროდ თქვენ ჭკვიანი ხართ, პატიოსანი!

ნინო. (მწარედ გაიღივებს.) და რომ არ ვიყო პატიოსანი?!.. (შესტკერის.)

ვანო. (გამოცვლილის კილოთი.) როგორ?!..

ნინო. რა?! გეოცათ?!.. რომ არ ვიყო პატიოსანი? მაშინაც შემირთავთ?..

ვანო. (ყოყმანით.) როგორ, თქვენ?..

ნინო. (ზიზღ მორეული.) მერე, რა არის აქ საკვირველი?

ვანო. მე...

ნინო. როგორ, გიკვირთ? (მწარე სიცილითა.) ჰა, ჰა, ჰა!.. მე-რე თქვენ, თქვენ-კი უმანკო ხართ?!.. მაშ აიღეთ ქვა პირველმა და ჩამკარით!.. ჰა, ჰა, ჰა!.. მეც ხომ აღამიანი



ნაძალადევის თავდაპირველი საზოგადო მოღვაწენი.
ზეზე სდგანან (მარცხნიდან მარჯვნივ): მედუქნე დვალიძე, მუშა დარახველიძე, მიხეილ ყალაბეგაშვილი, მუშა ბეჟუაშვილი, მუშა ჩენეკელი.
ს ს ე დ ა ნ (მარცხნიდან მარჯვნივ): მათე ღარიბაშვილი, მათე ხავთასი, მესტამბე გრ. ჩარკვიანი, მუშა ძელაიანი, მუშა თითაძე.

ვარ, თუმცა ქალი, მაგრამ ხომ თქვენსავით ყმაწვილი? (მიდის კარებთან.) მაშ, წადით და გახსოვდეთ უმანკოს მოძებნა მხოლოდ უმანკოს შეუძლიან (გადის).

ვანო. (მისდევს უკან.) არა, თქვენ... (მარტო.) ეს წარმოუდგენელია! (უკან გაჰყვება).

გამოსვლა 10.

ვანო და მიხა.

ვანო (შეხედება გზაში). აქ რა გინდა, ბიჭო?

მიხა. საქმე მაქვს... (ვანო გავა მარცხნით).

გამოსვლა 11.

მიხა და რაჟდენა.

რაჟდენა (შემოდის სახლის მხრიდან ჩანახით ხელში). გამარჯობა მიხა!

მიხა (მივა და მორცხვით ხელს ჩამოართმევს). ნათლიას გაუმარჯოს.

რაჟდენა. რისთვის ჩამოსულხარ?

მიხა. ისე...


რაჟდენა (მიუხედება). ბიჭო, თალა ხომ არ მოგდის თვალშია?

მიხა. თალა?!.. აბა, რა ჩემი საქმეა თალა?..

რაჟდენა. რატომა, შეილოსა, რა (კუდი ბიჭი შენა ხარ? ვერც არას შენ იმას დაიწუნებ. „ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა!“,

მიხა. მაგრამა...

რაჟდენა. რაღას ყოყმანობ, შეილოსა! ჩემთან რას იკატუნეთაეს? მე ხომ უცხო არა ვარ; სხვა არა იყვესრა, შენი ნათლია ვარ, შეილო! (ჩამოჯდება ჩანახზედა) მე როდი უნდა დამერიდო!



მხახიობი სვ. სვიმონიძე
ნაძალადევის თეატრის რეჟისორი.



ნაძალადევის თეატრის

დამფუძნებელი, ამშენებელი, გამგობისა და სარევიზო კომისიის წევრნი.

მისა. ეგ ხომ ეგრეა, შენი ჭირიმე, მე განგებაც მინდოდა მაგისათვის მოსვლა... მოწონებით კი მომწონს, მაგრამ ჭალაქშია ნადგომი, მერიდება ნანახი არ იყვეს.

რაჟდენა. რას ამბობ ბიჭო! ეგ იმისთანა ოჯახისა არ არის.

მისა. ოჯახი კი იცოცხლე, რომ კარგია... მაშ, ვაგბედო ნათლია, ჰა?!

რაჟდენა. შენ კარგი ხუთი თუმანი მზითვ: დ მოუმახდე თალას მამასა, დანარჩენი შე ვიცი.

მისა. ხუთი თუმანი კი მაქვს. იმ დღეს კოპოსტო გავყიდე და იქიდან გადავანარჩუნე. მაგრამ ლამის ისიც ხელიდან წამივიდეს, იმ გაჩეხილ და გამწვარ ტყეში დიდი ქალბატონი ორმოც თუანს არა გვჯერდება და...

რაჟდენა. მერე კომისიას რა გადაუწყვეტია?

მისა. ასი თუმანი.

რაჟდენა. მერე, ბიჭო და. აქ ან ორმოც თუმანის ზარალი სადღა იყო?

მისა. რა ვიცი, შენი ჭირიმე, თავიანთი ნება არ იყო? რაც უნდოდათ ის დააფასეს. ორმოცი თუმანი ძლივს-ღა იზოგა სოფელმა და ეხლა თუ არ დაგვყაბულდა, მეც აღარ მომეშვებინან, და მეტი რა ღონეა, ეს ჩემი ხუთი თუმანიც, სამზითვით შენახული, უნდა მივცე სოფელსა..

რაჟდენა. ახია ჩვენზედა. ბიჭო და დიდი ქალბატონი რო ავი იყვეს, ტყე რა შუაშია? არა, ტყუილა უბრალოთ რასა ჩეხავდნენ? არა, ხლორედ ჩვინზედ მოვიდა: მეზობლის გამოჯავრებულმა ცოლსა სცემო... (გაღიან).

გ ა მ ო ს ვ ლ ა 12.

გიორგი და ნინო.

გიორ. (გამოსვლისას.) მაშ არ მეტყვით მიზეზს?

ნინო. (დაჯდება ხესთან სკამზედა. გიორგიც გვერდით მოუჯდება.) ბევრი რამ არის ისეთი (თავის დახრით), რაც არ ითქმის... და მეც გთხოვთ ნუ მათქმევინებთ, დავრჩეთ ისევე მეგობრად, ისევე, როგორც გყოფილვართ ამ ერთის წლის განმავლობაში.

გიორგ. გიყვართ ვინმე? თუ ეს არის მიზეზი, რას ვიზამ, დავემორჩილები ჩემს ბედს...

ნინო. არა..

გიორგ. მჯერა. ამისთვისაც ვბედავ და გეკითხებით: შესაძლო არ ვიყვე, არა მთელიდეთ თქვენ შესაფერად?

ნინო. (მწარის ფარულის? ღიმილით.) მე გთხოვთ ასაზე ლაპარაკს ნუღარ განმიმეორებთ. გთხოვთ თუ გინდათ, რომ... მხოლოდ...

გიორგ. (გააწყვეტინებს.) მეგობრად მაინც მთვლით?

ნინო. რა თქმა უნდა.

გიორგ. ამაში კი ვეჭვობ, იმიტომ, რომ თქვენს გულის პასუხს არ მეუბნებით. თქვენ რაღაც გტანჯავთ...

ნინო. მე მაგას არც ჩემს ძმას ვეუბნები...

გიორგ. მე კი იმაზე მეტი უფლება მაქვს, იმიტომ, რომ მი ყვარხართ. მთელი წელიწადი ვფიქრობდი ამაზე და სწორედ მაშინ გადაწყვეტიე:

როდესაც თქვენ, ამას წინეთ, გაგიცხადეთ ჩემი თქვენ-დამი სიყვარული.

ნინო. და თუ მე... მე არ შეგფერით?... ამისთვის გთხოვთ...

გიორგ. არ შემფერით?!.. აი, ეგ თქვენი აზრი შეურაცყოფს...

ნინო. სულაც არა, პირიქით, მე... ვაფრთხილებთ...

გიორგ. ნინო! ხომ ბავშვი არა ვარ, რას მათრთხილებთ? იქნება გგონიათ, სინანულს მივეცე?...
ნინო. მგონია კი არა, დარწმუნებული ვარ...

გიორგ. ნინო! დამერწმუნეთ, თქვენა ხართ ჩემი პირველი და უკანასკნელი სიყვარული...

ნინო. ოო... მით უმეტესი... (მუდარებით შეხედავს.) გიორგი! გთხოვთ, გემუდარებით, ნუ მათქმევინებთ... დავრჩეთ მეგობრად. ის დალი, რომელიც მემადევს, ჩვენს მეგობრობას დაჩრდილავს...

გიორგ. (შეფიქრიანებული.) არა მესმის რა...

ნინო. ნურც ისმენთ ...

გიორგ. მე კი გთხოვთ ყოველისფერი მისმინოთ...

ნინო. გიორგი! გთხოვთ ნუ მტანჯავთ.

გიორგი. მაშ რაღა მეგობარი ვარ, თუ არ გამიზიარებთ? მეც სწორედ ისა მსურს, რომ ტანჯვა შევიმსუბუქოთ.

ნინო. ამას შეიძლება მოჰყვეს ზიზი, სიძულვილი და...

გიორგი. ჩემს მიერ, ვფიცავ მეგობრობას, რომ არა.

ნინო. მე... მე... (ყრუთ.) ნაშუს ახალი ვარ...

გიორ. თქვენ!..

ნინო. (ქვითინით) მე, მე...


გიორგ. (დიდი დუმილის შემდეგ.) მაშ რათ მითხარით, არავინ მიყვარსო?... არ შეიძლება ვიცოდე ვინ იყო?... ან ცოცხალია?..

ნინო. (ქვითინს შესწყვეტს.) იმას ვიცნობ, ცოცხალია, ხოლო დანარჩენებს...

გიორ. (გიჟივით წამოვარდება.) როგორ თქვენ?..



ნაძალადევის ახლად გადაკეთებულ თეატრის სცენა.



ნაძალადევის ახალი სათეატრო შენობა.

ნინო. აკი გითხარით ჩემი იარა, დალი... (მწარის ღიმილით). ჩასაქვავებელი ვარ, განა?.. მაგრამ გთხოვთ ნუ გამკიცხავთ მაინც... იმედია მეგობრობას მაინც...
გიორგი. გმადლობთ... დარწმუნებული იყავით, რომ ეს ყოველი ჩემში დარჩება. (დიდი ღუმლის შემდეგ.) თქვენ აქ დარჩებით, თუ...

ნინო. არა, მოძღვრიანთა დავრჩები ამაღამა.
გიორგი. მაშ მე მიგაცილებთ... (გადიან).

გამოსვლა 13.

თალა და ვანო.
თალა. (მიდის წყაროსთან რიდაცის გასარეცხად). მართლა და მიხა, რომ მითხოვდეს...
ვანო. (მიპარვით უკანდგანა ჩასკიდებს ხელებსა.) გამარჯობა თალიკო!
თალა. უი!.. გამიშვი ბატონო!..
ვანო. არა, შენ რომ გავიშო ვილა უნდა დავიჭირო შენზე უკეთესი?
თალა. როგორ გეკადრებათ? გამიშვით ბატონო, თორემ დავიყვირებ.
ვანო. ტყუილად იბრძვი. ველარ წამიხვალ. დაიყვირებ და უარესი. დაგწამებ რასმე.
თალა. ხვთის გულისთვის, ბატონო, გამიშვით, თქვენი ჭირიმეთ.
ვანო. შენი ჭირიმე და შენ გენაცვალე. არა ის არა სჯობიან ჩემთან გადმოხვიდე? ისე შეგინახო, რომ ყველა შენი ტოლები შემოგნატროდნენ.
თალა. მე სათქვენო არა ვარ... გამიშვით, თორემ.

გამოსვლა 14.

ივინივე და მიხა.
მიხა. (შემოვარდება თუ არა წააფლებს ვანოსა და დასცემს ძირსა.) არც ეხლა გაუშვებთ?
ვანო. (თალა გაეშვება და გაიქცევა). შენ ვინა გდინხარ?..
მიხა. მიხა გახლავართ, ველარ მიცანით მანდღედანა, ჰა?!
ვანო. მე შენ გაჩვენებ...
მიხა. ჩემ ქვეშა ხარ და მაინც მემუქრები?.. მაგრამ... ადექით, მეორედ აღარ გაბედოთ... თორემ გვარიშვილობას შეგიტყვევებ...
ვანო. (წამოდგება და იბერტყავს ტანსაცმელსა). მე შენ გაჩვენებ, შენა, დამაცა...
მიხა. (ღიმილით) ეი... (ამ დროს მოისმის რევოლვერის ხმა. ვანო იქით გავარდება, ხოლო მიხა ეკლესიისკენა).

გამოსვლა 15.

მაგდა, თალა, ელისაბედი
თალა. (გამოვა.) ქალბატონო! აქედან მოისმა... (შენინებული წყაროსთან იყურება).
ვანოს ხმა... არიქა, ჩქარა, დავითი...
მაგდა. დავითი?!.. (გაექანება ვენახებისაკენა.) დავითი?!..

უ ა რ დ ა.

მოქმედება მეორე.

მეორე მოქმედებიდან შესაშვლად გადის რამდენიმე დღე. სცენა: დავითის სახლის მეორე მხრით ბაღი, რომელსაც მარჯვენა მხარეს აქვს ხის ღობე, ხოლო მარცხენა მხარეს ქვითკირისა, კარებით. ბაღში ხეებია და ვარდის ბუჩქები, ხეების წინ სკამები. სახლის შუა კარებია, ხოლო კარებიდან აქეთ-იქით ჩამონავალი რამდენიმე საფეხურიანი კიბე. შუაღლეა.

გამოსვლა 1

მაგდა და ნინო.
მაგდა. (შიგნიდან მწუხარების კილოთი ნანას დამდერს თავის შვილსა).
 „ნანა, შევილო, ნანინა!
 ნეტა რამ შეგაშინა!
 რაზედ შეკრთი, მტირალნი
 რისთვის მომაპყარ თვალნი?“

ჯერედ ხომ შენი ბედი
 გრძობა წინა მორბედი
 არ უხატავს მაგ შენს თვალს
 ქართველთადმი დღიურ ვალს!..
 მაშ რაღამ შეგაშინა?
 ნანა, შევილო, ნანინა!“

ნინო. (რა მიწყდება ხმა, გამოჩნდება მაგდა კარებიდან აივანზედ ჩამომავალი) დაიძინა?
მაგდა. (ჩამოვა) დაიძინა. ძლივს ჩასთვლია. წუხელის მთელი ღამე არ უძინია, სულ ჭირვეულობდა.
ნინო. გუშინ ექიმი გიორგი არა ყოფილა?
მაგდა. არა! დღეისთვის დავიბარე და არ ვიცი რატომ იგვიანებს, მაგრამ რას იზამ? მამული ჩამოგვეერთო...
ნინო. აბა, მაგას როგორ ამბობ, მაგდა?! განა გიორგი მაგისთანა ექიმა?! გლეხები მაგის მზესა ლოცულობენ.
მაგდა. ჩვენ რომ აგრე არ მოგვექცეს, გასამტყუნარიც არ იქნება; გვექონდა და ვერ მოუარეთ.
ნინო. მერე შენ რა შუაში ხარ?
მაგდა. სულ ერთია, ჩემი ქმარი იყო დავითი.
ნინო. ვერ იყო მტკიცე ხასიათისა.
მაგდა. მაგას თვითონაც მეუბნებოდა. აღმზრდელთა სდებდა ბრალსა.
ნინო. მართლა გცემდა?
მაგდა. მხოლოდ ერთხელ, მეორე დღეს ქალაქში წავიდა; წავიდა ისე, რომ პირზედ ვერც კი შემომხედა. დაბრუნებისას ხომ თავიც მოიკლა...
ნინო. თავი მოიკლა და სოფელს კი აბრალებენ. მიხასა სტანჯავენ...
მაგდა. არა, არა! მე თვითონ დავიხსნი.
ნინო. მერე რა საბუთით? არ განსოვს გამომძიებელმა რა გითხრა?
მაგდა. (ჩაფიქრებული) საბუთი, დიან, საბუთი...

გამოსვლა 2.

ივინივე და გიორგი.

გიორგი. (შემოვა. ხელს ჩამოართმევს) დილა მშვიდობისათ ბოდიში თქვენს წინაშე, რომ დავიგვიანე... ბავში როგორ არის?
მაგდა. სიცხე ისეთი აღარა აქვს. წუხელის მთელი ღამე ჭირვეულობდა. ეხლა ჩაეძინა.
გიორგი. მაშ, დაე ეძინოს, ძილი უპირველესი გამკურნებელია. თქვენ კი გირჩევთ მშვიდად ყოფნას, თუ გინდათ ბავშვის მშვიდობიანობა და ძარღვიანობა. გაანჩლებულ მდგომარეობითი ძუძუს მიცემა ბავშვს ძილსაც გაუფრთხობს, ძარღვებსაც მოუღუნებს და ეს ცხოვრებაშიაც გაჰყვება.
ნინო. მიხასი ხომ არა გავიგიათ რა?
გიორგი. იმის საქმემ არ დამაგვიანა აქ მოსვლა? საქმე ძალიან ცუდად არის; თუმცა თანახმად სოფლის თხოვნისა, ახალი გამოძიება დაუნიშნავთ.
ნინო. მერე, აქ, ადგილობრივ, არ გამოიძიებს?
გიორგი. დღეს ჩამოვა. სხვა გამომძიებლისათვის მიუხდვიათ.
ნინო. მაშ, ეშველება რამე?
გიორგი. ნეტა სხვებიც არ მიუმატონ და?...
მაგდა. ნუ თუ არც ის შეიწყნარებს ჩემს განცხადებას?
გიორგი. არა მგონია. რაც პირველისათვის იყო კანონი, იგივე მეორისათვის იქნება...
ნინო. (მაგდას.) მიხას, მთელის სოფლის გასამართლებლად საჭიროა წერილი დავითისა და არა მოწმობა.
მაგდა. (ჩაფიქრებული.) წერილი, მაგრამ...
გიორგი. გასამართლებელი წერილი-კი არსად არის და გასამტყუნარი მიხასი-კი ის არის, რომ ტყვია, რომელიც დავითს მე ამოუღე გამოდგა, იმ რევოლვერისა, რომელიც აღმოჩნდა მიხას დერეფნის ქერში.
ნინო. მე-კი ვგონებ, ეს სულ ვანოს მოხერხებაა.
გიორგი. ვინ იცის...
ნინო. ვანოს სოფელი ბევრს რასმე აბრალებს. სოფელი-კი ტყუილა არას ერჩის.
მაგდა. მერე და მიხას რად უნდა მოეკლა დავითი?
გიორგი. როგორც თავადი, როგორც მემამულე.

მაგდა. ტყუილია, ცილის წამება. მე თვითონა...
გიორ. გაქვთ რაიმე წერილი?...
მაგდა. (შესდგება, ფიქრის შემდეგ.) არა... მე...
ნინო. მე მაინც მივივრს, მარტო იმაზედ როგორ ამყარებენ, რომ რევოლუცია მიხას დერეფნის ქერში აღმოჩნდა.
გიორ. ესეც საკვირველია, რომ რევოლუცია დავითის გვერდით არ იყო.
მაგდა. იქნებ იპოვნა მიხამა და მეორე დღეს იქ დაშალა?
გიორ. მიხა-კი ამოპს, არც მიპოვნია და არც დამიშალავსო.
ნინო. მერე ის რევოლუცია ნამდვილად-კი დავითისაა?
გიორ. დაბეჯითებით ეგეც არავინ იცის. ზოლო ტყვია-კი იმის ზომისაა და სწორედ ერთი ტყვია აკლია. არც ის არის, გამორკვეული, თუ ვისია ის რევოლუცია. აქ მხოლოდ ერთად ერთი ვანოა, რომელიც ამბობს, მიხას ხელში მინახავს ეგ რევოლუციაო.

გამოსვლა 3.

იგინივე და თალა:

თალა. (სახლის გვერდით გამოჩნდება). იმიტომ, რომ ბატონი ვანო ჩამტერებულია...
გიორგი. მერე შენ იცი რამე?
თალა. (დაიწყობს, მაგრამ რა შეხედავს მაგდას შეჩერდება.) მამიჩემისაგან ვამიგონია... (გატრიალდება გულამომჯღაბრი). ღმერთი, ღმერთი არ შეარჩენს...
მაგდა. ღმერთი?!...
გიორ. მაგას რაჟდენაც ამბობს, მაგრამ საბუთი რომ არა აქვს რა?
ნინო. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასეა, მიხა მართალი ბიჭია, მასთან პატიოსანიც. უეჭველია სადმე რაიმე შენიშნა და რა ვერ მოითმინა, შეარცხვინა. ამას წინად, დავითის სიცოცხლეშივე, ზაფხულში მე თვითონ გამაფრთხილა მიხამა: ბატონ ვანოსთან ნუ დასდიხარო, სოფელში უზნეს სახელი აქვს დავარდნილიო.
გიორ. ჯაშუშობასაც აბრალებენ: „ვინც-კი დაიღუპა—ვანოსაგანაო“.
მაგდა. მერე რატომ არ აძევებენ სოფლიდან?
ნინო. დააბრეს, მაგრამ ვერ მოახერხეს.
გიორ. სოფელი მაგისათვის მოუშვადებელია. არც საკმარისი მეთაურნი ჰყვანან. ამასთანავე, გლეხებს უფლება არა აქვთ აზნაურები განდევნონ.
თალა. (მაგდას, რომელსაც ამ დროს უნდა რალაცა ეთქვა გიორგისათვის). ქალბატონო! მამა და რაჟდენა გახლავან.
მაგდა. რა უნდათ?
თალა. თქვენი ნახვა სურთ.
მაგდა. მოვიდნენ. (თალა გადის.)

გამოსვლა 4.

იგინივე, ქიტა და რაჟდენა.

ნინო. (გიორგის) ხელახლა შეეკითხება მოწმეებს?
გიორ. დიახ! ახალი მოწმე მხოლოდ თალაა...
მაგდა. თალა?...
ქიტა. (შემოდის). ქალბატონი მაგდა აღდგომილადღმერთმა.
რაჟდენა. დილა ყარგა ყოფნისა:
მაგდა. იცოცხლეთ! (ანიშნებს ხესთან სკამზე.) დასხედით.
ქიტა. ასეც არა გვიჭირსრა.
რაჟდენა. რასა ბძანებ შენიჭირიმე.
მაგდა. დასხედით, დასხედით, (დასხდებიან). როგორა ხართ, რას იტყვით კარგსა?
რაჟდ. კაი ნუ მოგაკლოთ ქრისტე მაცხოვარმა. მაგრამ ეხლა კარგი ჯერ რომ ჩვენთვის არ გათენებულა? აი, ჩემი ნათლული მიხა ლამის დაჰკარგონ.
ქიტა. იმასაც არ გვაკმარა. მთელს სოფელსა სდებენ ბრალსა. აგერ წუხელისა ზენა სოფლიდანა სამი ისეთი ბიჭი დაიჭირეს, რომ...
მაგდა. სად წაიყვანეს?
გიორგ. მიხას ამხანაგებად არიან დასახლებულნი. დღეს გამოძიებელი გამოჰკითხავს...
ქიტა. იმათაც, შენი ჭირიმე, მონაწილეობას აბრალებენ?
მაგდა. აკი გეუბნებით, დავითმა თვითონ მოიკლა თავი...
ქიტა. აგრე მოგახსენებენ, სოფელიც მაგას ეუბნება, მაგრამ სამართალი საბუთსა თხოულობს, ისე არავის უჯერის.

გამომძიებელმა ბოქაულის სიტყვით თითქმის მთელს სოფელს დაადო ხელი. მიზეზი მკვლელობისა ტყის გაჩეხვა და „ზეკუტია“ არისო,
რაჟდ. გამოძიებელი, ჩემო ძმავ, იმას გაიძახის, რასაც, ბი, უჩვენებენ...
გიორგ. მერე ვინ არის თქვენში ისეთი, რომ...
ქიტა. ბარე ვიცით, მაგრამა...
რაჟდ. ერთი ავი სული სჯობნის ათას კეთილსა...
გიორგ. ქალბატონო მაგდა! ასე მოგახსენებენ, წერილი გქონიათ იმ ცხონებულისაგანა...
რაჟდ. ნუ ინებებთ იმ მართალ ობოლ ბიჭის დაკარგვასა. დაიხსენი მთელი სოფელი...
ქიტა. თქვენი სიკეთე ყელში ამოგვდის. დიდ ქალბატონისაგან „ზეკუტები“ თქვენ ბევრჯელ გაგებრუნებიათ. თქვენი სიკეთე მეც ბევრი მახსოვს, და ეს სიკეთეც გაიმეტევით და სოფლის სალოცავი თქვენ შეიქნებით.
მაგდა. მაგრამ... მე ის წერილი... (სასოწარკვეთილი წამოდგება). კარგი, ვნახოთ, მოვსძებნი... (ქიტა და რაჟდენა გადენ).

გამოსვლა 5.

მაგდა, ნინო და ვანო.

ვანო. (შემოდის) ბრიყვები!.. (ხელს ჩამოართმევს ორთავეს.) მე თქვენ გიჩვენებთ...
მაგდა. ვის ემუქრებით?
ვანო. თქვენგან გაამპარტავებულ გლეხებს.
ნინო. მერე რა დაგიშავს?
ვანო. რა და ისე გაიარეს, რომ ვერც კი შეამჩნიეს.
ნინო. ზურგი შემოგაქციეს?
ვანო. მე მაგათ ვაჩვენებ, როგორც უნდა ზურგის შექცევა.
მაგდა. ალბათ რაშიმე დანაშაულად გთვლიან...
ნინო. უმიზეზოდ ეგენი...
ვანო. მიზეზი? განა მიზეზია, რომ მიხას ვუბოვე მე რევოლუცია, რომლითაც მოჰკლა საწყალი დავითი?
მაგდა. დავითმა თვითონ მოიკლა თავი...
ვანო. მაგის საბუთი გექნებათ... მე კი ვამბობ, რომ დავითი მიხამ მოჰკლა.
თალა. (გამოეჩანება, თითქო უნდა ეცესო ვანოსა, „ზოლო შესდგება.“) ტყუილია!.. მიხას არ მოუკლავს ბატონი.., (გაუშტერებს თვალებს, თითქო რალაცას აგონებსო.) იმას არ მოუკლავს... (გაბრუნდება აკრემლებული).
ვანო. (ჯერ გაშტერდება, მაგრამ რა შეატყობს, რომ ვერ ბედავს თალა თქმასა, თამამად.) მაშ, შენ გეცოდინება ვინც მოჰკლა...
მაგდა. (დააცქერდება ვანოს, რომელიც მოარიდებს თვალს.) მაგან კი არა და მე კი ვიცი... მე... როცა დრო იქნება... (გადის).

გამოსვლა 6.

გამომძიებელი, ბოქაული, ექიმი გიორგი, ვანო, ელისაბედი, ქიტა, ჩაფარი და კონა. შემდეგ მიხა და ორი ჩაფარი.
გამომძიებელი. მაგიდაა საჭირო! (რა შეამჩნევს ხესთან.) მაგრამ აქ ყოფილა. ჩაფარო! კარებში დასდექი. დაბძანდით, ქალბატონებო! (თარჯიმანს.) ტუსალი სადღა არის? (ორი ჩაფარი შემოიყვანს მიხასა.) აღვილობრივი გამოძიება უკვე დასრულებულია. მე მხოლოდ მინდა შევეკითხო ზოგიერთ მოწმეს, რადგანაც მკვლელობის აღვილობრივ მდებარეობამ გამოიწვია. თქვენ, ბატონო ივანე! (იხედება საქმეში), თქვენ შეგიძლიანთ მოიგონოთ რამდენი ნაბიჯი იქნებოდა იმ ადგილიდან, სადაც თავადი დავითის გვამი იდო, იმ ადგილამდე. სადაც თქვენ მოგესმათ?
ვანო. სულ მცირე...
გამომძ. მაინც?
ვანო. არ დამითვლია...
გამომძ. (ჩაიხედავს საქმეში.) საიდან მოდიოდით, ან სად მიდიოდით, არ გახსოვთ?
ელისაბ. (ვანოს ჩურჩულით.) არ მახსოვსთქო.
ვანო. (უხერხულობა ეტყობა. ელისაბედისა ვერ გაიგო და უცბად შეშფოთებულივით მას შეხედავს, გამორკვეული.) სწორედ არ მახსოვს...

გამომძ. (ჩაიხედება საქმეში.) აი როდესაც მოგესმათ რევოლვერის ხმა?
ვანო. ბინდებოდა..
გამომძ. ვერ იცანით გაქცეული მკვლელი?
ვანო. ვერა... ფაჩუნი მომესმა..
გამომძ. ერთისა თუ რამდენიმესი?
ვანო. არ დავკვირვებია?
გამომძ. მაგრამ აქ აჩვენებთ, რომ..
ვანო. ღიახ, რამდენიმე ფეხისა.
გამომძ. თქვენ როდის უნახეთ ის რევოლვერი მიხა ტუსაღსა? დავითის სიკვდილის..
ვანო. რამდენიმე დღის შემდეგ..
კონა. (აქამდე ხესთან აფარებული გამოეჩანება ვანოსა-ქენა, ძირს იყურება) მორიელი... მორიელი, მორიელი..
ელის. (შეჰკვირვებს.) აჰ!..
კონა. (ფეხ დადგავს და ვახრესს.) რა იყო ქალბატონო! განა მორიელი ბატონ ვანოზე დიდია?..
გამომძ. ვინ არის გაიყვანეთ..
კონა. მე, ბატონო, მორიელის დასუნთქულის წამალი ვიცი. მორიელი უნდა დაახრხო ზეითუნ ზეთში. უებარი წამალია. ხოლო, აი, ადამიანის (შეხედავს.) დასუნთქულს-კი წამალი არ მოეზოვება... ექიმო გიორგი!.. (მობრუნდება, დასწვდება მორიელს ღვ გაიქცევა.) ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა..
გამომძ. (გაშტერებული გაადევნებს თვალს კონასა.) საბრალო... (ჩაიხედება საქმეში.) აბა, შენ ტუსაღო მიხა! მაშ ის რევოლვერი შენი არ იყო?
მიხა. არა, ბატონო!
გამომძ. მაშ თქვენი სახლის დერეფნის კერში რა უნდოდა?
მიხა. ჩემი კეთილის მდომი შეინახვდა.
გამომძ. იმ საღამოს იქ რა გინდოდა?
მიხა. ჩემს დანიშნულთან ვიყავი.
გამომძ. მერე, რატომ წინად არა სთქვი? ჩემს მოადგილეს პირველად რად დაუმაღე?
მიხა. დასამალი რა მქონდა? განა თვით ბატონ ვანომ არ იცოდა?..
ვანო. მე არაფერიც არ ვიცი... მე არ მინახავს... მე არც კი მინახავს..
მიხა. ბატონო ვანო! შენ ხომ იცი, რომ მე ბატონი დავითი არ მომიკლავს... მაგრამ ღმერთი დიდია..
ვანო. აი, ბატონო გამომძიებელო! ხომ ხედავთ შემუქრება..
ელისაზედ. თუ ეგენი გამართლდნენ, ჩვენ აქ აღარ დავგედგომება.
გამომძ. მე დამუქრებას არას ვხედავ. (თარჯიმანიანს). მოუწოდეთ მოწმე თალასა..
ქიტა. გაიხედებათ...

გამოსვლა 7.
იგინივე და თალა.

გამომძ. (თალა მის წინ შორი-ახლო დადგება თავს დაღუნავს). თქვენ მიხას დანიშნული ხართ.
თალა. (შეხედავს მიხას, შეტოკდება, მაგრამ თავდაჭერილი). ღიახ..
გამომძ. როდესაც თავად დავითი მოკლულ იყო, იმ ღამეს ნახეთ მიხა?
თალა. (შეხედავს მიხას, შემდეგ ვანოს კოპებით). მე..
ქიტა. ჰო, შეილო, თქვი ნუ გერიდება..
გამომძ. გთხოვთ ნუ უშლით, (თალას). ინახულედ თქვენი დანიშნული?
თალა. ღიახ..

გამოსვლა 8.
იგინივე და მაგა,

გამომძ. (თალას.) თქვენ მიხამ მოგცათ რამე? (შეხედავს თალასა.) წერილი რაიმე გარდმოქცათ დამნაშავემ?
თალა. (ამდროს ჩამოდის მაგდა.) მიხა!.. (წასწვდება ტირილი.) არა, არა! მიხა არ არის დამნაშავე..
მაგდა. (მოუთმენლად ჩამოირბენს. მივა თალასთანა და ჩაიკრავს გულში) მართალია, მართალია, ჩემო თალიკო!.. მიხა უდანაშაულოა. დავითმა თავი მოიკლა
გამომძ. ეგ ყველა კარგი, ბატონო, მაგრამ მაგისტვის საჭიროა, რაიმე საბუთი.

მაგდა. (შედრკება, შეხედავს მიხას, მიხა რა შეამჩნევს, თვალს დახრის) საბუთი! ღიახ, ღიახ, საბუთი... ის წერილი..
თალა. (შეხედავს მაგდას მუდართ, შეასწრობს ამას მაგდა და სირცხვილით თვალს დახრის) ქალბატონო..
მაგდა. (ნაძალადევად) ჰო, საბუთი გიხსნის.
თალა. (ვეღარ დაამთავრებს, გულ ამომჯდარი სახლში შევარდება) ქალბატონო..
მაგდა. მაშ... (მიხას შეხედავს) მაშ, საბუთი გიხსნის... (ძალა მოკრებილი, ვით გამორკვეული) მე კი... მე... (თამამად) მაგრამ... (ამოიღებს წერილს) აი საბუთი, ჩემის ქმრის დავითისა... (გიორგის გარდასცემს) შენ... ექიმო გიორგი, შენ წაიკითხე..
გიორ. (ჩამოართმევს, შემდეგ მიმართავს გამომძიებელს) ნებას მაძლევა?
გამომძ. (მაგდას) თვით თავად დავით თავადიძეს დაწერილია?
მაგდა. ღიახ..
გიორ. (კითხულობს) „ჩემო მაგდა! არა შენი დალი, შენდა უნებურად დაჩნეული, ჰკლავდა ჩემს გულს... არამედ ჩემი გარშემო წრე, გარეგნულად სპეტაკი, ხოლო შიგან გარბწნილი... არა ბოროტებისგან მოყენებული შენი წარსული მიმღვრედა სისხლსა... არამედ ჩემიანთ, უკულმართ აღმზრდელთ, ყოველ დღიური ბრძოლა მდლიდა, მიშფოთებდა სულსა...—„ბუნებით კეთილს-შობილსა უჩინე კეთილ-აღმზრდელი“... და, აი, შენ როგორც კეთილი... გაბარებ ჩემს გოგლასა, როგორც კეთილშობილსა, აღზარდე არა გვარიშვილობით, არამედ კეთილშობილობით... შენ ჩემს შვილს კეთილი შთაუწერგე... ხოლო ბოროტი აარიდე... მომიტივე... ხოლო გთხოვ ჩემის შვილის ყურამდე ნუ მიადწევინებ შენს წარსულს... არ მინდა იცოდეს..
მაგდა. (ყრუდ) ჩემი წარსული... (ერთს წერტილზედ მიჩერებით) დალი..
გიორ. (კითხულობს, ხოლო ზოგიერთს სიტყვებს ყრუდ, თითქო უნდა გამოსტოვოსო) „...არა იმიტომ, რომ შენი დალი მას.. არა, არ მინდა მას გული ეტკინოს... წასძახონ...
ელის. წასძახონ?...
მაგდა. (ყრუდ, ვით შეშინებული) ჩემი წარსული... (თითქო წერტილზე შეამჩნია რამეო, მხრებს ოდნავ აიწვეს, წაიხრება და თვალების კილოების გაფართოებით) დალი..
გამომძ. (რა შეჩერდება გიორგი) გთხოვთ განაგრძოთ, რომ..
მაგდა. (ყრუდ) ღიახ... ღიახ, დალი..
გიორ. „...აი, თუნდ მე, შენი მეუღლე... მოგაშორე იმ საღამურსა... არა... გარწმუნებ, მე ვიკლავ თავს. არა იმიტომ (მიამიტად არ გამოსტოვებს, წაიკითხავს) რომ შენი მეძაობის დალი.. (შესწყვიტავს).
ელის. მეძავიო?!..
მაგდა. (ამ დროს მოისმის ყრუდ ბავშვის ტირილი.) აჰა!.. (შეშლილი) აი, აი დალი... (მოისმის მძიმედ ნანიანს ხმა. ექიმი მივა მაგდასთანა) ექიმო!.. აგერა დალი... არა, არ მინდა... (კალთას იბღერტავს, გულს იწმენდს) ჩემმა შვილმა შეამჩნიოს... ექიმო, აი, გთხოვ..
ელის. (ზიზღით,) მეძავიო... ვუი, ოჯახო შერცხვენილო,
მაგდა. (არ მინდა ელისაბედს) შენ... ჰა, ჰა, ჰა..

ს. გლახაშვილი.

